



# საკრებულო

1991  
საზოგადოებრივი  
10  
საქმეზგარი  
№ 106 (10499)  
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდისა და ჯუგდიდის რაიონის საკრებულოს და საკრებულოს ორგანო საზოგადოებრივი და საკრებულოს მდივანის სახელოსნო 1991 წლის 1 მარტიდან

## ...და ვალე ბლოკადასაც გავარჯევით

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ავადსახსენებელი კომუნის სტური ტოტალიტარული რეჟიმი ყოველმხრივ ბოკავდა თავისუფალ აზრსა და საქმეს, ადამიანის საშურსადაც თვითინიციატივა იწაფებოდა კერძო მესაკუთრულ გამოვლინებად. მაღალი რანგის ჩინოსნების გამოსვლებში ნიდავ გაისმოდა მოწოდება ძირშივე აღგვეკვეთა აღნიშნული მოვლენები. რესპუბლიკის ერთერთმა ხელმძღვანელმა მაღალი ტრიბუნაზე ასეთი რამეც ბრძანა: „როცა კერძო მესაკუთრულ და სხვაგვარ ნებატარ ტენდენციებს ვებრძვი, ჩვენ ვესწრაფვით ვინაა ადამიანი საშინელი შედეგებისაგან, პიროვნების განადგურებისაგან, უბედურებისა და თავს დაუფასებინაგან“. ასეთი ფსევდოლოგიის მიხედვით, კერძო მესაკუთრება და პირადი საკუთრების უფლების გარანტია აღიქ-

მეზღა პიროვნების მორალურ დაცვად, დეგრადაციად. ამ მსოფლმხედველობამ დააქნა ჩვენი ყოფა 70 წლის მანძილზე, გააუცხოვა ადამიანი საშუაოსაგან, გადააჩვია კომერციულ თვითშემოქმედებას, ფაქტიურად გახადა იგი სახელმწიფო მონოპოლიტური სტრუქტურების უსაზურ დანამატად. აი, ასეთი დეფორმირებული გაჩნდაგებული ეკონომიკა ჩვენი ბარტ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა თაობამ. მემკვიდრეობად გვარგო ცენტრალიზებული დაგეგმვის დირექტიული არტახების ქვეშ მკვიდრი საწარმოო რგოლები, წარმოებითი ურთიერთობები, უფლებებისგან დაცლილი ადამიანები. ამიტომაც აღიქმება საქართველოს ხელისუ-

ფლებში ეროვნული ძალების მოსვლა ისტორიული მნიშვნელობის უდიდეს ნიშანდევად, შემობრუნების ეტაპად, რომელმაც თანდათან, მაგრამ გადაჭრით უნდა დაანგრის მბრძანებლურადმინისტრაციული სისტემა და ფართო გზა გაუხსნას ეკონომიკის ლიბერალიზაციას. ამ პროცესების მართვა უნდა მოხდეს მთავარი სანიშნობების მიხედვით. ეს არის საწარმოთა პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მექანიზმების შემუშავება. ეს მოვლენები ხვალ დაწვე შეიქმნის თავის დინამიკას, განვითარების ბუნებრივ კალაპოტს. მაგრამ რამდენადაც დემოკრატიული, ცივილიზებული სახელმწიფოს აშენებას ვისწრაფით უნდა დამუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები. ასეთი დოკუმენტები შემუშავებულია კიდევ ღრმად და ყოველმხრივ ანალიზდება ის სოციალური თუ იურიდიული გარანტიები, რამაც პრივატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების მტიკვიყოი პროცესი ყოილგვარი უწყესრიგობისა და ქაოსის გომენ-

ტებს უნდა აარიდოს. არა და ამაღვარი რეციდავები დღესდღეობით სახეზეა. ნაწილობრივ ამოსული სოკოებივით გომრავლდა ათასი ჭურის კოოპერატივები და კომერციული მაღაზიები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბევრი მათგანი სათანადო კონტროლს მიღმა დარჩენილი. აქაოდა, თავისუფალი ფასების ნება დაგვრთესო და, მავანნი, ათასწირი საქრას და უკანონო გზებს, თვალთმაქციობისა, თუ უღირსობის ხერხებსა და ფანდებს ჩვეულებრივ ახერხებენ სახელმწიფო ბაზებიდან და საწყობებიდან დეფიციტური საქონლის დაბრუნებას. ასე და ამაგვარად კომერციული მაღაზიების დასლებზე ვხვდებით ნაწარმს, რომილთაც ასტრონომიული ფასები ადევს. მშრომელთა ფართო ფინგებში ჩნდება ეჭვი, როგორც ვინებთა დედა. ათასგვარი დეფიციტითა და სიძვირით გაწამებული მომხმარებელი საზოგადოება ანად მოითხოვს აღნიშნულ სფეროში განუკითხობისა და პარაკსის აღაგვას. დიხ. მას პრიტიკაია. ნამდვილ საბაზრო ეკონომიკას.

ის მიმართ, რომლის მხრიდან მეტ პრინციპულობასა და ძალისხმევას მოითხოვს. დღეს არავინ არ არის გულუბრყვილო. რეალურად შემოსულ წერილებში გაშუქებული აღმოვინებთ ტონი გარკვეულწილად ნაქარანახევია სავსებით რეალური გარაუთით: აა იქ ადგილი აქვს საბოტაჟს, რაფა ხელოვნურად გამოიწვიონ აუცილებელი, ყოველდღიური საქონლის დეფიციტი და მისი აღქევატური უკმაყოფილება. მწაკრულად გათვლილ ამისთანა სიაგვაცეს ყოველნაირად უნდა ვამხედდეთ. ჩვენს მკითხველებს გულწრფელად უნდა ვუთხროთ ასეთი რამეც: სოციალური და ეკონომიკური სიღუპეზე ვერ ვიქვამებ ბლოკადის ქვეშ მყოფი საქართველოს ხვედრია. სწორედ ამიტომ გვმართებს დიდი ამტანობისა და პირობათმენის, ურთიერთდობისა და თანამშრომლობის გამოჩენა. კარს არის მომდგარი დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც ახალ გზებს გაუჭირს ქვემოთ კომარციას. ნამდვილ საბაზრო ეკონომიკას.

## ვის სჭირდება ასეთი სიტყუე?

(კასუსი ეროვნულ-ოპოზიციურ ძალთა კრის-ცენტრს)

გაზეთ „ოდიშის“ აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ წერილში ეროვნულ-ოპოზიციურ ძალთა კონფერენცია“ მოცემული ინფორმაცია სრული სიტყუეა. მოდი, სიმართლე ვუამბოთ. საზოგადოებას: 21 აგვისტოს შედგა ზუგდიდის ეროვნულ-ოპოზიციურ ორგანიზაციათა შეხვედრა თავის-თავთან. „კონფერენცია“ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები არ გასწავლენენ. ის, რაც წყაობულ იქნა „კონფერენციაზე“ ქაბაღუას მიერ, იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართა საზოგადოებისადმი. ზუგდიდის ეროვნულ-ოპოზიციური ორგანიზაცია, როგორც ჩანს, ჩილენგი გონებით აფასებს მოვლენებს ან საერთოდ არა აქვს უნარი შეაფასოს მოვლენები. რაც შეეხება მინაწერს, სრული სიტყუეა. დარბაზში მიმართვის მოღებამდე ათილდე წუთით ადრე კი არ შეიჭრენ, შევიდნენ: ოდიშის საკრებულოს დეპუტატი ლ. ანთია, პელსინკის კავშირის წევრი ლ. ძიძიგური, წმინდა ილია-მართლის საზოგადოების წევრი ლ. შეროზია, ოდიშის საკრებულოს დეპუტატი ი. აბშილავეა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ი. ქობალია, ძ. ქვარაია და ნ. ავალიანი. მათ დაემეს ზუგდიდელ ოპოზიციონერთა ცინიკური განწყობა საქართველ, ერთიანი მთავრობისა და საქართველოს ხელმძღვანელებისადმი, რასაც ოპოზიციონერები ბქვეგენ დემოკრატიის ჩახშობის ბოლშევიკურ მეთოდს. ზუგდიდელი ოპოზიციელები იმას კი ვერ ამჩნევენ, თუ როგორ ხებენ ჩიარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტორიტეტს და როგორ ცდილობენ ყოველნაირად ფეხქვეშ ათილენ ბზროტი აზრებისა და ძალების მოხმობით 9 აპრილის ზონაპოვარი. რაც შეეხება ნ. ავალიანის გამოსვლას, მან ზუგდიდელ ოპოზიციონერებს, რომლებიც საშიშ და მავნებელ აზრებს ხეითარებენ, მოუწოდა სიმშვიდისაგან. სიკეთისაგან, რაფა იმსქილონ და იაზროვნონ სწორად, დასამარონ ბოროტი ზრაცვები და ერთი იდეით დარბაზულებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად იბრძოლონ საქართველოს ჰემოარტი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ლ. ანთია, ოდიშის საკრებულოს დეპუტატი.

ახალი სასწავლო წლისათვის მონლომებელი საშაღისია ზურაბ ჰაგვავაძის სახელობის ქალაქის მე-3 საშუალო სკოლაში (დირექტორი კ. თირქია). აქ ცდილობენ შეფი ორგანიზაციის (ლუდისა და ხილუელი წყლების კომბინატი) მიერ გამოყოფილი 5 ათასი მანეთი ყარათიანად გახარჯონ სკოლის შენობის ფასადის, დერეფნებისა თუ სხვა სათავსების შეღებვა-შერემონტებისათვის, სასკოლო ინვენტარის შესაძენად. განსაკუთრებული

მონლომებით შრომობენ კლასის ხელმძღვანელები, რომლებიც ავტოლობრივი ძალებით ცდილობენ საკლასო ოთახების გალამაზებას, კეთილმოწყობას, რაფა ახალ სასწავლო წელს განახლებულ ოთახებში შეხვდნენ მოსწავლეები. როგორც სკოლის დირექტორმა კ. თირქიამ აღნიშნა, რაც მთავა-

რია, საწვავი უკვე მომარაგეს გათბობისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასადილო ოთახისთვის არა აქვთ ინვენტარი საკმაო რაოდენობით. ქვეყანას უჭირს, აღნიშნა მან, არც ჩვენ გავლბინს, მაგრამ ვეცდებით ახალ სასწავლო წელს კარგად მოვემზადოთ და ეს გასაკირი არ ვაგჭრნობინოთ ნორჩ თაობას, ცოდნას მოწყურებულ ახალგაზრდობას.

## ზუგდიდის რაიონის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია

მიმდინარე წლის 6 სექტემბერს გაიმართა ზუგდიდის რაიონის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველი სესია. სესია გახსნა ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მუზა ჯაბუშიამ, რომელმაც შეკრებილთ გააცნო არჩევნების შედეგები. სესიის დღის წესრიგში იყო: საკრებულოს სამანდატო კომისიის, საკრებულოს მდივნის და

მდივნის მოადგილის არჩევნები. საარჩევნო კომისიის არჩევნები: სამანდატო კომისია არჩეულ იქნა: პალიკო შიშინაშას (ჩხორიის საკრებულო), ნუნუ სახინაშვილის (ჩიხაშკარის საკრებულო) და ქამალ ფილშანის (აბასთუმნის საკრებულო) შემადგენლობით. სამანდატო კომისიის ანგარიში, რომელიც მისმა თავმჯდომარემ ნუნუ სახინაშვილმა წარმოადგინა

დამტკიცებულ იქნა. ფართული კენჭისყრით რაიონის საკრებულოს მდივნად არჩეულ იქნა ჯანელი წულაია, მოადგილედ ანზორ გვაჭანი. სესიის გადაწყვეტილებით საარჩევნო კომისიის არჩევნები გადატანილ იქნა მეორე სესიისათვის. რაიონის საკრებულოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ მუშაობა ამით დაამთავრა.





